საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 01

ქ. თბილისი „13“ „ივნისი“ 2012 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ **გ. კერვალიშვილი**

საკონკურსო კომისიის წევრები:

ნ. მჭედლიშვილი, ს. ბირკაძე, ნ. ნაროზაშვილი, მ. კვირიკაშვილი, ო. ჩიკვაიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: **მ. სოხაძე**

დღის წესრიგი:

საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ნ. მჭედლიშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის“ შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე: **გ. კერვალიშვილი**

სხდომის მდივანი: **მ. სოხაძე**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 02

ქ. თბილისი „25“ „იანვარი“ 2012 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ **გ. კერვალიშვილი**

საკონკურსო კომისიის წევრები:

ნ. მჭედლიშვილი, ს. ბირკაძე, ნ. ნაროზაშვილი, მ. კვირიკაშვილი, ო. ჩიკვაიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: **მ. სოხაძე**

დღის წესრიგი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 13 იანვარს (19:18) გამოცხადებულ №260 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ 2012 წლის 20 იანვარს 18 საათზე შემსყიდველ ორგანიზაციაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა - შპს ,,მეგავატ.ჯი“-მ და შპს ,,კერარქიტექტურა“-მ.

განიხილეს:

საკონკურსო წინადადებების დეტალური განხილვის შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,მეგავატ.ჯი“-მ დააფიქსირა შემდეგი ფასი: 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარი, ხოლო შპს ,,კერარქიტექტურა“-მ - 10 620 (ათი ათას ექვსასოცი) ლარი. საკონკურსო კომისიამ განიხილა ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები და საკონკურსო კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, საკონკურსო კომისიის წევრმა მ. კვირიკაშვილმა განაცხადა, შპს ,,მეგავატ.ჯი“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა არქიტექტურული კონცეფციის კუთხით გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე შპს ,,კერარქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა. ვინაიდან, შპს ,,მეგავატ.ჯი“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა არქიტექტურული კონცეფციის კუთხით უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე შპს ,,კერარქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა. შესაბამისად, შპს ,,მეგავატ.ჯი“ ჩაითვალოს გამარჯვებულად და აღნიშნულ კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - ,,გამარჯვებული გამოვლენილია“.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

დაადგინეს:

1. შპს ,,მეგავატ.ჯი“-ს და შპს ,,კერარქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერილობები (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალები შეესაბამება შემსყიდველის საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. შპს ,,მეგავატ.ჯი“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა არქიტექტურული კონცეფციის კუთხით გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე შპს ,,კერარქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა. შესაბამისად, შპს ,,მეგავატ.ჯი“ ჩაითვალოს გამარჯვებულად და აღნიშნულ კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - ,,გამარჯვებული გამარჯვებულია“.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს ,,კერარქიტექტურა“-ს და შპს ,,მეგავატ.ჯი“-ს.

4. არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სხდომის თავმჯდომარე: **გ. კერვალიშვილი**

სხდომის მდივანი: **მ. სოხაძე**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2012 წლის 25 იანვარი

საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 13 იანვარს (19:18) გამოცხადებულ №260 კონკურსში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	_____	გ. კერვალიშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	_____	ნ. მჭედლიშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	_____	ს. ბირკაძე
საკონკურსო კომისიის წევრი	_____	ნ. ნაროზაშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	_____	მ. კვირიკაშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	_____	ო. ჩიკვაიძე
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	_____	მ. სოხაძე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 02-05/4799 25 „ 01 2012

თქვენს № _____

შპს „მეგავატ.ჯი"-ს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა თქვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დაადგინა, რომ სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გთხოვთ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

გიორგი კერვალიშვილი
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax: 2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 02-05/ 4801 „25" 01 2012

თქვენს № _____

შპს „კერარქიტექტურა"-ს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) საშვთა ბიუროსთვის, ჰოლისთვის და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურში მონაწილეობა მიიღო ორმა კონკურსანტმა: შპს „მეგავატ.ჯი"-მ და შპს „კერარქიტექტურა"-მ. საკონკურსო კომისიამ დაადგინა, რომ ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, შპს „მეგავატ.ჯი"-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა არქიტექტურული კონცეფციის კუთხით გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე თქვენს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა. ვინაიდან, შპს „მეგავატ.ჯი"-ს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი, გეგმარება ტექნიკური დავალების შესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა არქიტექტურული კონცეფციის კუთხით უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე თქვენს მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მეგავატ.ჯი".

გიორგი კერვალიშვილი
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ე. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax: 2262409. E-mail: info@mof.ge